მულტირელიგიური საქართველო

როდის ძალუძს გათითოკაცებულ საზოგადოებას სამყაროში რაიმეს შეცვლა? მაშინ, როდესაც ადამიანები ერთმანეთთან უხილავი ჯაჭვებით არიან შეკავშირებულნი და პიროვნული ერთობის გარდა, მორალური ღირებულებებითაც ცდილობენ, ერთმანეთს შეესისხლხორცონ, ეს, უდავოდ, ყველაზე ძლიერი კავშირია დედამიწის ზურგზე. გაუგებარია, როგორ უნდა ხდებოდეს ჩვენი იდენტობა და უნიკალიზმი ჩვენივე გაყოფისა და დაშორების საწიდნარი? სიწმინდეც ესაა - იყო შემწყნარებელი, რამეთუ სიყვარული და ურთიერთპატივისცემა სიძულვილსა და მტრობაზე შვების მომგვრელი და სასიამოვნოა. მიმაჩნია, რომ მულტიკულტურალიზმი და მულტირელიგიურობა გზას უხსნის ქვეყანას სინათლისაკენ და აძლევს მას შესაძლებლობას, საკუთარი კეთილდღეობა ურყევი გახადოს, რადგან ასეთი ერთობით შეკავშირებულ, ფერად ქვეყანაში ფერმკრთალი და გაცამტვერებული, ფაქტობრივად, აღარაფერი იარსებებს. რელიგია და ეთნიკური ღირებულებები ადამის მოდგმის ძისათვის ერთმანეთთან არათუ დაშორების, არამედ კიდევ ბევრი უხილავი ხიდის შენებას უნდა უწყობდეს ხელს.

რელიგიური და კულტურული ტოლერანტობის საკითხი მსოფლიო მასშტაბით რეზონანსულია და მას საკმაოდ ბევრი მომხრე, თუმცა, ამასთან ერთად, არანაკლები მოწინააღმდეგე ჰყავს. მე ამ საკითხის მომხრეთა რიგში ვირიცხები და მიმაჩნია, რომ ყველა ადამიანს მართებს, სხვისი იდენტობის პატივისცემა და მისადმი კეთილმეგობრული დამოკიდებულების გამომუშავება, რამეთუ ჭრელი სახელმწიფო ასეთივე მომავალს წარმოშობს. პირველ რიგში, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ სხვადასხვა კულტურული ღირებულების მქონე ადამიანების თანაცხოვრება ხელს უწყობს ერუდიციისა და ცოდნის დონის ამაღლებას, ამით მოქალაქეებს საშუალება ეძლევათ, შეაბიჯონ სხვა ერების კულტურაში, გახდნენ მათი თანაზიარი და ამით მრავალი რამ შესძინონ თავიანთ პიროვნულობას, სულიერად გაიზარდონ. ამასთან ერთად, სრულებით სხვა ღირებულებების მქონე მოქალაქეებისადმი კეთილგანწყობა საშუალებას მოგვცემს, მომავალ თაობასაც ჩავუნერგოთ მათდამი პატივისცემა, რადგან ჰარმონიულად მცხოვრები ადამიანები ხელს უწყობენ ქვეყნის აღმასვლას, მასში მშვიდობისა და ერთიანობის დამყარებას. ერთობა კი ყველაზე საჭირო იარაღია ყველა დაბრკოლებასთან გასამკლავებლად. ბუნებრივია, მსგავსი ქვეყანა, საინტერესოა ინვესტორებისათვისაც და ეს ყველაფერი იმთავითვე გამოიწვევს ეკონომიკისა და სოციალური ფონის გაკეთილშობილებას ქვეყანაში. ტოლერანტობა რომ მნიშვნელოვანია, ამას ისტორიაც გვიდასტურებს. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ აქემენიდური ირანის ფუძემდებელი კიროს დიდი, რომელმაც, მიუხედავად საკუთარი ერის საკმაოდ რადიკალური განდგომისა ქრისტიანობისაგან, დახმარების ხელი გაუწოდა ბაბილონის დაპყრობისას ებრაელებს და მათ ქრისტიანული ტაძრის ასაგებად ფულიც კი გამოუყო. კიროსმა ამისათვის საუკუნო დიდება გაინაღდა ისტორიის ფურცლებზე.

სამაგალითოა განვითარებული ქვეყნების შემთხვევები. ევროპის თითქმის ყველა მაღალგანვითარებადი სახელმწიფო შორს დგას არატოლერანტული დამოკიდებულებისაგან. სტატისტიკის მიხედვით, ის ქვეყნები, რომელთა შიდა ეკონომიკა და სოციალური მდგომარეობა საკმაოდ გამართულია, მეტწილად, დასახლებულია მრავალეთნიკური საზოგადოებით. ასეთია, მაგალითისათვის, გერმანია, რომელიც ყოველწლიურად ათასობით განსხავებული ეროვნების ადამიანს მასპინძლობს, რითაც ავითარებს ეკონომიკას, რამეთუ სამსახურის საძებნად წასული მოსახლეობა ხელს უწყობს ამა თუ იმ დარგის აღორძინებას, ყოველივე ეს კი განპირობებულია მათი ტოლერანტული, თბილი და სანიმუშო დამოკიდებულებით იმიგრანტებისადმი.

„მრავალფეროვნება დამოუკიდებლად, მაგრამ ერთობლივად ფიქრის საუცხოო ხელოვნებაა“ - მალკოლმ ფორბსის ამ მრავლისმთქმელი ციტატის ფონზე, გავმეორდები და ვიტყვი, რომ განსხვავებული იდენტობა და ღირებულებები სრულებით არ უნდა ქმნიდეს ადამიანებს შორის უფსკრულს, არამედ ის უნდა უწყობდეს ხელს მოქალაქეთა შეკავშირებასა და სულიერ თანაზიარობას. იქიდან გამომდინარე, რომ მულტიეთნიკური სახელმწიფო ბევრად უფრო მიმზიდველია ყველასთვის და მსგავს სახელმწიფოში ყოფა უზრუნველი მომავლის გარანტია, ვთვლი, რომ ამ ასპექტით უდიდესი როლი ეკისრება მთავრობას, რომელსაც მართებს, საზოგადოებაში გაავრცელოს აზრი იმის შესახებ, რომ ტოლერანტული გარემო ყველა ადამიანს უქადის კეთილ და საუცხოო მომავალს. დღეს, ძალიან ბევრი მოქალაქე ეწინააღმდეგება იმას, რასაც ძალუძს ქვეყანა მრავალი ასპექტით განავითაროს, შექმნას ახალი სამუშაო ადგილები, მოიზიდოს უცხოელი ინვესტორები და ვფიქრობ, უბრალოდ დიდი დანაშაულია, როდესაც უსაფუძვლო სიძულვილი სხვა ეროვნების ადამიანებისადმი ქვეყნის ეკონომიკასა და მოსახლეობას დიდ და გამოუსწორებელ ზიანს აყენებს. ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია საერთაშორისო ავტორიტეტიც, რომელსაც მულტიეთნიკური საზოგადოების ქვეყნის შიგნით აღორძინება უთუოდ წაადგება. საბოლოო ჯამში, მიმაჩნია, რომ ადამიანებს მართებთ თვითშეგნების ამაღლება და იმ დადებითი შედეგების გადაფასება, რომელიც მათ გვერდით ფერადი საზოგადოების არსებობას სდევს თან, საამისოდ კი საინფორმაციო სახის შეხვედრები არაჩვეულებრივი შესაძლებლობაა.

სახელი, გვარი: ალექსანდრე ბერაია

სკოლა: ქალაქ ზუგდიდის აკაკი წერეთლის სახელობის 1 საჯარო

კლასი: მე-12